

პარასკევი, 2 თებერვალი 1896

ბაზეთი ღირს:

თ.ჯ.	მან.	კ.	თ.ჯ.	მან.	კ.
21	10	—	6	6	—
11	9	0	5	5	50
01	8	5	4	4	75
9	8	—	3	3	50
5	7	2	2	2	75
7	6	5	1	1	50

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

ივერია

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

გაზეთის დასაბამად და განკუთვნილია დასაბეჭდად უნდა მოწოდდეს რედაქციას და წერა-კითხვ ვაშვარტ. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ — 8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ქართულთა შორის წარა-კითხვის გამამარცხებლის საზოგადოების გამაგობა“ იწვევს ამ საზოგადოების დამფუძნებელთა, ჩამდვილთა წევრთა და სხვათა დასასწრებლად პანაშვილზე, რომელიც იქნება გარდახდილი საზოგადოების საპატიო წევრის ახლად მიცვალავლის იმართის **ეპისკოპოსის პაპრიკილის** სულის მოსახსენებლად, ქაშვეთის ეკლესიაში შაბათს 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ.

ღმრთაყვარლის გამომდები ნომერი გამოვა საგზაბათს, 6 თებერვალს.

ქართული თეატრი
პარასკევს, 2 იანვარს, 1896 წ.
ღილის წარმოდგენა
„ქართულ დრამატულ საზოგადოების“ დასასაგან წარმოდგენილი იქნება
ბბ. აბაშიძისა და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ესლანდელი სიყვარული
კომ. 5 მოქმ. გადმოღებული გ. ა. აბაშიძის-მეორე.
მონაწილეობას ღებულობენ: ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნი აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, ადამიძე, თამაზიშვილი, კარბელი და სხვ.
ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ ღილის 12 საათზედ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ფელიოსი, 2 თებერვალი.
ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია რადიკალთა კაბინეტის შედგენა

ფელეტონი
ჯალათის სიკვდილი.
(მოთხრობა ლესიან დაჭრისას).

— ხოლო რაც შემეხება მე, — დაიწყო პორუჩიკმა ბლანინმა და სიგარას მოუკიდა, — დარწმუნებული ვარ, რომ თავის მოჭრით ერთბაშად კვდება კაცი და ის მოსაზრებანი, ვითომ თავის მოჭრის შემდეგ კაცს გრძნობა და აზრი მაშინვე არ ეკარგებოდეს, ეს სულ სიკვრეა.
— სრულიად გეთანხმებით, — მხარი დაუჭირა ახალგაზდა ექიმმა გერბელოტმა, — ეს ასეც უნდა იყოს: რაკი ზურგის ტვინი დანარჩენს ტანს მოსცილდება, ადამიანს გრძნობიერება მხოლოდ ეკარგება. ხოლო რაც შემეხება აზრს, ისიც მაშინვე ვაჭკრება ხოლომე, რადგანაც უცბად თავის მოჭრით სისველე სრულიად ეკარგება ტვინს და ამიტომ აღარც მუშაობა შეუძლიან, მაშასადამე.
— ჩემო საყვარელო, თქვენ მატერიალისტი ხართ! შეჰნიშნა ერთმა სტუმართანგანმა. — რადაც და როგორ

ხანია თხოულობდა პროგრესული ნაწილი საფრანგეთის ერისა და კანონიერად სცნო მუშათა სინდიკატების არსებობა და მოღვაწეობა, რომელიც სასტიკად შევიწროებული იყო წინანდელ რეაქციონერ კაბინეტებისაგან. გარდა ამისა რადიკალთა კაბინეტმა ყური ათხოვა საზოგადოების ღალადს და სასტიკი დევნა დაუწყო ყოველგვარ შანტაჟისტებს, ყველას, ვინც ბოროტად სარგებლობდა ბეჭდვითი სიტყვით ან საზოგადოების მიერ მინიჭებულს უფლებებით. ღღემდის სამინისტრო გამარჯვებული იყო ყოველს თავის განზრახვაში, რადგანაც პარლამენტის ყველა მემარცხენე დასები ენერჯიულს დახმარებას უჩვენდნენ კაბინეტს და არც ზომიერები იჩენდნენ მოსალოდნელს ენერჯიულს წინააღმდეგობას. ამ ჟამად-კი, როგორც სჩანს, სამინისტროს საქმე მსხვერპლთა უნდა მიიღოს, რაც გამოიწვია სამინისტროს ერთმა ახალმა კანონპროექტმა.
საფრანგეთის მძლავრმა ბურჟუაზიამ კარგა ხანია შეაჩერა პროგრესული კანონმდებლობა სოციალურს სფეროში. ზოგიერთი საჭირო და სასარგებლო რეფორმა დემოკრატიის მოთხოვნილებებისამებრ უკვე განხორციელებულ იქნა ევროპის სხვა სახელმწიფოებში. ამ რეფორმათა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს მუშათა შესახებ კანონმდებლობას და შემოსავლის რაოდენობაზე გარდასახადის შემოღებას. მუშათა მფარველობას დიდი ხანია შეუდგნენ სხვა სახელმწიფოები და მათ საკმაოდ განვითარებული კანონმდებლობაც აქვთ ამ ჟამად; შემოსავლის რაოდენობაზე გარდასახადის გაწერა-კი შემოღებულია ისეთს სახელმწიფო-

კაცის ნების ძალა კაცის მოჭრილ თავშიც არის, და მკვლელის პომერეს შესახებ არსებული ლეგენდაც სრულ ქეშმარიტებად მიგაჩნიათ?
— ეგ რა ლეგენდა?
— ამბობენ, ამ ბოროტ-მომქმედმა პირობა დასდვა, როდესაც თავს მომადგებინებთ თქვენს დაძახილზე სამჯერ მოვხუჯავ მარცხენა თვალსაო...
— მერე? ჩაეკითხა დაინტერესებული ბერტიე.
— მერე-და! იმ კაცმა, რომელსაც ეს უნდა ეცადნა, მოსჭრეს თუ არა თავი, მაშინვე ხელში აიღო იგი და სამჯერ ხმა მალა დაუძახა სახელი მოკლულს. როგორ გგონია, სახსუნოდ მოკლულმა სამჯერ თურმე მოხუჯა მარცხენა თვალი, მაშინ როდესაც მარჯვენათი ყურადღებით თურმე ჰსინჯავდა მონადღვე პირს.
— ეს ეჭვი არ არის, სრულიად უნებურად, მეხანიკურად მოუხდა მკვდარს, სთქვა გერბელოტმა. — ეს ისეც იგი ეფექტია, როგორსაც ელექტრონი ახდენს ხოლომე მოკლულ ბაყაყის ფეხზედ!.. რას იტყვიან ჰა, ჩემო ძვირფასო მასწავლებლო?... გერბელოტი ახლა ექიმს და... —

შიაც, როგორც არის, მაგალითად, პრუსია. მხოლოდ რესპუბლიკანური საფრანგეთი ჩამორჩა ამ მხრით ევროპას. დემოკრატიული ნაწილი საფრანგეთისა დიდი ხანია თხოულობს ამ რეფორმებს და ზოგიერთმა სამინისტრომ კიდევაც განიზრახა მათი განხორციელება, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ძლიერმა ბურჟუაზიამ საქმე ჩაფუშა... ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ ჟამად ბურჟუა-კავენიკის სამინისტრომაც, დაპირებისამებრ, შეადგინა და მალე პარლამენტს წარუდგენს განსახილველად შემოსავლის რაოდენობაზე დაწესებულს გადასახადის კანონ-პროექტს. ჩვენს გაზეთში ამას წინად მოყვანილი გვექონდა დაახლოებითი შინაარსი ამ პროექტისა და ამიტომ აქ აღარ განვიმეორებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი, თუ ძირითადად არა, თვალსაჩინოდ სცვლის გარდასახადთა აწინდელს სისტემას საფრანგეთში. დედა აზრი კანონ-პროექტისა ის არის, რომ გარდასახადში მონაწილეობას მიიღებს მდიდარი, შეძლებული ხალხი და მძიმე ტვირთი მარტო შეუძლებელთ არ დაწვევა კისერზე; გარდასახადი მატულობს თან-და-თან შემოსავლის მიხედვით. ეს სისტემა, თუ სავსებით იქნა გაყვანილი, ძალიან შეუძლებელს ხალხს ეკონომიურს მდგომარეობას, მაგრამ ბურჟუას კანონ-პროექტი მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ სამართლიანსა და ნამდვილ დემოკრატიულ გზაზე...
როგორც-კი გამოცხადდა ამბავი, რომ ეს სამართლიანი რეფორმის პროექტი სამინისტროს მხარეა აქვს და პარლამენტს წარუდგინებო, ბურჟუაზიის გაზეთებმა სასტიკი წინააღმდეგობა დაიწყეს და ბრძოლა გამოუცხადეს სამინისტროს. გაზეთები-

დან სჩანს, რომ პარლამენტის ზომიერი და რეაქციონერი დასებიც აპირებენ — ენერჯიულად შეებრძოლონ რადიკალებს. კიდევაც რომ მოხერხდეს და პარლამენტში კანონ-პროექტმა გაიმარჯვოს, შეუძლებელია სენატიც ასევე მოიქცეს და პროექტი დაამტკიცოს, რადგანაც სენატში რეაქციონერთა ელემენტი მეტად მძლავრია. ამ რიგათ რადიკალთა კაბინეტს, ღღემდის ძლევა მოსილს, დიდი განსაცდელი მოეღოს: თუ კანონ-პროექტი უარყოფილი იქნა, სამინისტრო სამსახურს თავს დაანებებს. შეიძლებოდა ახლანდელი პარლამენტი დაეთხოვნათ. მაშინ ხალხი უფრო მეტს უმრავლესობას არაუუნებს რადიკალთა და სენატის იძულებული იქნება დაემორჩილოს ქვეყნის სურვილს. მაგრამ საეჭვოა პრეზიდენტმა აირჩიოს ახლა ეს გზა და ალბათ ისეც სამინისტროს კრიზისს არჩევს...
დიდი ხანია საფრანგეთის სამინისტროს მოქმედებას ასეთი პროგრესული ხასიათი არ ჰქონია და ეს გარემოება თავდებია იმისი, რომ მომავალ არჩევნებზე ერის დემოკრატიული ნაწილი უფრო მეტს ენერჯიას გამოიჩინოს და ამის შემდეგ მანც ეღივება საფრანგეთს პარლამენტი, სადაც საკმაოდ ძლიერი უმრავლესობა ეყოლება ბევრად თუ ცოტად რადიკალურს ელემენტებს.
ლალი.

ახალი ამბავი

*. ხვალ ქაშვეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება გორის ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ პანაშვილი მის საზურგულს მიჰყუდა და დაიწყო.
— ჩემო მეგობარო, ეგ თქვენი საგანი ისე ადვილი გადასაწყვეტი როდია, როგორც გგონიათ...
ექიმი გერბელოტი პირდაპირსა და გარკვეულს პასუხს ელოდდა და ამიტომ საშინლად განცვიფრდა.
— როგორ, ძვირფასო მასწავლებლო, განა თქვენ ჰყაყაყობთ კიდევ?...
— მოითმინეთ, მე აქ საფიქრებელი არა მაქვს-რა, ღიმილით უპასუხა და... — მ. — მე ვაიბობთ ერთს შემთხვევას და როგორც გსურდეთ, ისეთი დასკვნა გამოვიყვანეთ.
— შემთხვევას!..
— არა, იგი უფრო დაკვირვებაა, რომელიც მე ამ ოცდაათის წლის წინად მოვახდინე; მაგრამ იქამდის უცნაური და არა ჩვეულებრივია, რომ ერთხელაც არ მომიხსენებია იგი ჩემს შრომაში, მე თითქმის ვერიღებოდი მეტვე ვისთვისმე...
სტუმრებს მღელვარება დაეტყობთ.
— გავათავე თუ არა სწავლა, დაიწყო ექიმმა, — მე მაშინვე იტალიასა, ინგლისსა და გერმანი-

განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან დამფუძნებელნი და წევრნი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, რომლის განსვენებული ყოვლად-უსამდღველოესი საპატიო წევრად იყო. იმავე „საზოგადოებელს“ გამგეობას აუჩივია სამი წარმომადგენელი, რომელნიც პარასკევს მიღიან ქუთაისის განსვენებულის ეპისკოპოსის დასაფლავებაზე დასასწრებლად.

როგორც დეპეშით იუწყებიან ქუთაისიდან, განსვენებულს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს 3 თებერვალს გაასვენებენ, ხოლო დასაფლავებით როდის დასაფლავებენ, ეს ჯერ არ ვიცით.

ნუხილამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქაურს ქართველთა გუშინ-წინ გარდაუხდიათ პანაშვიდი განსვენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სულას მოსახსენებლად.

ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა სახელმწიფო რკინის გზათა უფროსი ინსპექტორი ივანოვი, რომელიც გუშინ-წინ რკინის გზის დასათვლიერებლად წავიდა ბათუმისაკენ.

დაკლებულის ფასებით სახალხო წარმოდგენის გამართვა ყველიერში სამწუხაროდ არ მოხერხდა.

რკინის გზის მმართველობას დეპეშა მოუვიდა გუშინ, რომ გზა გაუწმენდათ; დღეს სახალხო მატარებელი წავა ბათუმამდე.

გუშინ, 1 თებერვალს, რუსეთის ფოსტა არ მივიღია.

ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან მეპურეთა უბუცესად არჩეულ იქნა სოფრომ ვარაზაშვილი, რომელიც 1882 წლიდან ითვლება უბუცესად, მის თანაშემწედ ქიტესა რომიძე, ხმოსნებად ამორჩეულ იქნენ მინიელ იობაშვილი და ნიკოა დელუაძე.

მარტისიდან გვწერენ, რომ იქ საშინელი სიძვირეა ყველაფრისა. თითო თხას ცამეტ მანეთად ვყიდულობთ; გირვანქა ხორცი ხუთ შუარადა ფასობსო, ამას არავინ ინადვლებდა, რომ მუდამ შეიძლებოდეს სანოვაგეს დროზე შეიგნაო.

აში წავედი სამოგზაუროდ. ჩემის მოგზაურობის მიზეზი ის მოსამზადებელი საეთნოგრაფიო შრომა იყო, რომელიც ვეღარ დავთავებ; რატომ ვეღარ დავსრულე, ამას მალე შეიტყობთ. როდესაც ეს ამბავი შემემთხვა, რომელიც მე ეხლა მსურს გაიგებოთ, მე მაშინ ვიურტუმბერგში გახლდით, გრაფის გებემარის მშვენიერს ქალაქ ლიუდვიგსბურგში. გავსინჯე „ფავორიტას“ ცხენ-დაბაზი, სასტუმროში დაგბრუნდი. ვხედავ, მოვიდა ჩემთან სასტუმროს პატრონი, მთლად შეშინებული, ხელში ქუდს ატრიალებდა და წინ დამიდგა. რა ამბავია, ვეკითხებო.

— ოჰ, ბატონო ექიმო, მიპასუხა დამახინჯე ულის ფრანგულ ენით, მაშინ როდესაც მე გვამანულად საკმაოდ კარგად ვლაპარაკობდი, — აქ, შორი-ახლო, ექიმი ჟაკობუს ტოდრიტერი სცხოვრობს; საშინლად ავად არის და რადგანაც ყველა ექიმები უარს ამბობენ ვერ ვუწამლებოთ, ამიტომ მეგონა...

— როგორ! შევევირე განრისხებულმა, აქ ექიმები უარს ამბობენ

სადგურ ბარბარინოში მყოფი გზის სამსახურის უფროსი აკორონკო იუწყება, რომ ქარ-ბუქი კვლავ ამოვარდა და ბარბარინოდის საქონლის მატარებელიც ძლივს-ძლივით ჩამოდისო. თუ ქარ ბუქი არ შესწყდება, საეკვა მატარებლებმა სიარული შესძლონო.

ტფილისში ამ ქამად სპარსეთის შაჰის სასახლის არტიტი ფაჯირა ალბერტ ლორიცი ჩამოსულა. იგი ამ დღემდე ხევაში გაჰმართავს წარმოდგენებს. ბანი ალბერტ ლორიცი იყო ჩვენს რედაქციაში და ზოგიერთი საკვირველებანი თვლით გვაჩვენა, რამაც დიდად გაგვაკვირვა. ლორიცი თავისუფლად ირქობს ტანში დანას, ხანჯალს, ნემსებს და აგრეთვე სხვებსაც უშვრება ამასვე, რაც ტკივილს სრულიად არ იწვევს; ალბერტ ლორიცი სამს წელიწადს ყოფილა ინდოეთში, კალკუტასა, ბომბეასა, მადრასსა და ბენარესში და საფუძვლიანად შეუწავლია ფიქრთა მეცნიერების სასწაულნი.

ქსნის ხეობა: ასეთს სასტიკ ზამთარს ჯერ ქსნელეი არ შეესწრებ ვართ. მთელმა შემოდგომამ და ქრისტიანობისთვის წყნარი და სიამოვნო ამინდებით დაპყრო ისე, რომ არავითარ მიწის მოქმედებას ხელი არ შეუშალა, ხოლო იანვარმა ჩავამწარა დღენი ქარბუქით. ქსნის ხეობის შესავალ გზაზედ, რომელიც კასპის სადგურიდან შედის და რომლის გაკეთების დამთავრებასაც ვეღარ ვეღირსენით — შესაზარი ნაქერები ავგო ქარმა, ზოგი მათგანი 3-4 არშინს აღემატება სიმაღლით. „შინდავაკე“ სრულებით შეკრულია და მხოლოდ ცხენიან მოგზაურს შეუძლიან გავლა — ისიც დიდის ტანჯვებით. ამ მინდორზედ მოგზაურობის დროს იანვრის 29 ხუთი ცხენი უკვე იმსხვერპლა ქარიშხალმა და მოგზაურებმა-კი ძლივს დაიხსნეს თავი. თოვლი ხეობაზედ საზოგადოთ 1/2 არშინზე მეტია. სასტიკი სიცივე აქვს — მშრალი თოვლია და ამბობენ ვაზზედ ცუდ გავლენას იქონიებსო.

„მოსკოვის უწყებაში“ და ქართველი.

დასავლეთის საქართველოს თავად-ახნაურობის მარშლის სიტყვამ, წარ-

თავიანთს მოძმეს გაკვირვების დროს დახმარება აღმოუჩინონ!.. გამიძელი, მე წამოვალ...

— მხოლოდ აი რა არის... ბატონო ექიმო... ჟაკობუს თქვენი ხელობისა არ არის, პირიქით... მე კიდევ მეშინიან, როდესაც შეიტყობთ... რომ ჟაკობუს ჯალათად ნამყოფია!..

— ჯალათად ნამყოფი, ენაზე ვიკბინე და შევდექი... მაშ, ექიმს რისთვის ეძახით?

— ეკვი არ არის ექიმი. ჩვენში ჩვეულებად არის გადაქეული ექიმი უწოდონ ჯალათს, როდესაც იგი თავისს ოთხს პირველს ოპერაციას კარგად შეასრულებს...

მე არ მსურს ღრმად დავუკვირდე ამ უცნაურს ამბავს, მაშინვე ქუდი ავიღე და სასტუმროს პატრონს გავყვი. ჟაკობუს ტოდრიტერის სახლი ქალაქის განაპირად იდგა, ერთს ვიწრო ქუჩაში.

ჟაკობუს ერთს მეტად ღარიბს ქობში სცხოვრობდა; ქობი სულ უბრალო მიწური იყო, რომელიც ზევით გვირგვინით გამოწვეტებუ-

მოთქმულმა 17 წარსულს დეკემბერს ქუთაისის თავად-ახნაურთა საგანგებო კრებაზედ, ერთი სრულიად მოულოდნელი ამბავი გამოიწვია „მოსკოვის უწყებების“ მხრით. ვაზეთმა უძღვნა ჩვენს ერს დიდის სიმპატიითა და სამართლიანობით აღსაყვ წერილი, რომელშიც მარტივად და გულ-ახსნილად აღიარებულა საქართველოს ერის უფლებანი.

თუ ამ გაზეთობას ნორმალურის თვლით შევხედავთ, რასაკვირველია, გასაკვირვალად და საგანგებოდ აქ არა არის რა. მაგრამ ქამთა ვითარებამ ჩვენ დიდი ხანია შეგვაჩვია ისეთის რამეებით შევიქმნეთ ნუგეშ-ცემულნი, რომელიც სხვა დროს მცირეოდნადაც არ იქნებოდა საყურადღებო.

დღეს მოსკოვის გაზეთი მეგობრულის კილოთი იწყებს საუბარს ქართველი ერის შესახებ. რა საჭიროა შევედგეთ იმის გამოკვლევას, რამ გამოიწვია ეს კილო ცნობილის გაზეთისა! საკმაოა, რომ კატკოვისეულ ორგანოს შეუგნია სამართლებრივ საქართველოს კვლევას, რომელიც, როგორც თითონ ამბობს გაზეთი, საკუთარის ნებით შეუერთდა რუსეთსაო.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ყოველი, რაცა სთქვა მოსკოვის გაზეთმა — სთქვა მოფიქრებულად და აღარ შეგვხდებოდა აწ მის ფურცლებზედ ისეთ აზრებს, რომელიც უკვე აღიარებულის წინააღმდეგი იქნება.

პირიქით, ჩვენ გვგონია და ლოლიკური მსჯელობა მოითხოვს ასეც იყოს — ამიერიდან „მოსკოვის უწყებები“ და რაჯად იქნებიან ყოველგან და ყოველთვის, სადაც-კი ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებათა შესახებ აღიძრება სჯა და ლაპარაკი.

უმალღესის მთავრობის წინაშე ახლაც არის და შემდეგშიც მოსალოდნელია იქნეს წარდგენილი უალრესნი საჭიროებანი ჩვენს ქვეყნისა. საუბედუროდ, ქართველი ერი დღესაც მოკლებულია მრავალ ისეთ დაწესებულებათ და უფლებათ, რომელიც შიდა რუსეთში კარგა ხანია შემოდებულია და ურომლისოდაც ხალხის განვითარება წარმოუდგენელია.

მაგ. ჩვენ არა გვაქვს საკმაო საშუალო სასწავლებლები, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ერთი, ნაფიცი მსაჯულები, მსაჯულების წარმოება ხალხისათვის გასაგებ ქართულ ენაზე, სწავლება გიმნაზიებში ქართულის ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და სხ. და სხ...
მაშინ როდესაც ზოგან საქართველოში ისეთი მჭიდროდ არის დასახლებული ხალხი, რომ თითო ქვეყანა ორას-სამას თემნად ღირს, როგორც რაჭაში, შავის ზღვის პირად გავირანებული მიწები ან უპატრონად არის გაშვებული, ან და ისეთი გარემო ხალხი მოჰყავთ და ასახლებენ, რომელიც ვერ უთვისდებია ახალ სამშობლოს. ეს ახალ-შენი, გადმოხვეწილი რუსეთის ჩრდილო ადგილებიდან, მალე ისევ ან დასწავლებულნი ბრუნდებიან თავისს ქვეყანაში, ან იქვე იხოცებიან აუტანელის, მათთვის მავნებელის ჰავისა და ციებ ცხელებისაგან.

ცხადია, რომ გარდა საცოდაობისა, რომელიც არ უნდა იყოს დავიწყებულ, ხაზინის ინტერესებიც იზარება. იმის ნაცვლად, რომ ჩერქეზთა და აფხაზთა ნამოსახლზე დაბინავონ ქართველი გლეხი, რომელსაც სული ეხუთება მიწის ნაკლებობისა გამო და სახელმწიფოს ბეგარის ბეჯითი გადამხდელი გაუჩინონ, მოჰყავთ ისეთი ხალხი, რომლის ბუნებრივი თვისება სრულიად არ შესაბამება ახალს საცხოვრებელს ქვეყანას.

ყოველ ამას, უტკველია, ესაჭიროება მოსარჩლე და ვიქონიოთ იმედი, რომ ამ გვარ მოსარჩლედ ჩვენს სამართლიანის მოთხოვნილებათა იქნება მოსკოვის გაზეთი, რომელიც ნათლად აღიარებს ქართველის ერის უფლებებს.

ეკვი არ არის „მოსკოვის უწყებებს“ მალე წარმოუდგება შემთხვევა დავიშტოკოს თავისი გულწრფელობა და კეთილი დამოკიდებულება საქმი თაც და ღმერთს ვსთხოვთ არ გავხდეთ იძულებულნი განვიმეოროთ მოციქულის სიტყვა: „სარწმუნოება, თვინიერ საქმისა, მკვდარ არს.“

თავადი — ექ.
ქუთაისი, 29 იანვარს, 96.

მამასახლისების არჩევნის ბაშო.

ქართლ-კახეთ-ქიზიყიადამ რამდენიმე წერილი მივიღეთ იმის შესახებ, რომ მამასახლისების არჩევნების დრო მობლოვდა, მადა-გახსნილი ვაგბატონები თავგანწირულად იბრძვიან და სცდილობენ როგორმე ხელთ იგდონ ეს გემრიელი ლუკმაო. ბევრი ამ წერილთაგანი ამბობს, რომ ნასწავლი მამასახლისები ვერ ამართლებენ იმ იმედს, რომელიც ყველასა ჰქონდა საზოგადოდ და საქმეები უფრო არ ივდარეს, გლეხები შევიწროვებს, მათმა ხარჯმა ხომ ისედაც ტვირთმძიმე გლეხი მეტად შეაწუხა და ნაყოფი-კი ისეთი ვერა გამოიღეს-რა, რომელიც მცირედ მაინც არის ამტკიცებდეს ნასწავლ მამასახლისების სარგებლობასაო. ამიტომ ურჩევნს სოფლის საზოგადოებათ ისევ ძველებურად სწირონ, თავიანთ შორის ამოიჩიონ რომელიმე პატროსანი გლეხ-კაცი და ისევ მათ მიენდოთ ავად თუ კარგად სოფლის საქმეების წარმოება; თანაც დასძინენ ხალხიც მოწადინებულა ისევ გლეხთა შორის, თავიანთ შორის აირჩიონ მამასახლისიო. ხოლო სხვები სულ სხვას იწვრებიან: ნასწავლი, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, ინტელიგენტი მამასახლისები ეკვი არ არის უკეთესად და უფრო შეგნებულად ასრულებენ სოფლის საქმეებს, ხალხს ამითი ბევრი წვრილი ხარჯი სხვა-და-სხვა ჩაფრებისა, მოხელეებისა და სხვათა, რომელთაც მაზრის აღმინისტრაცია ჰგზავნიდა ხოლმე უსწავლელ მამასახლისთაგან აუსრულებელ საქმის შესასრულებლად, თავიანთ აცილებული აქვს; აღარც თუ ისე წიოკდება ხარჯების გადახდაში, როგორც უწინ და სხ.

ერთი სიტყვით, ამტკიცებენ, რომ ინტელიგენტი მამასახლისები გაცილებით სასარგებლონი არიან, ვიდრე უსწავლელნი. ეს უკანასკნელნი მხოლოდ იმის წინააღმდეგნი არიან, რომ ინტელიგენტის სახელით ზოგიერთ ადგილას მამასახლისობა უშოვნიათ ისეთებს, რომლებიც, თუმცა არიან ასეთები, მაინც პირნათლად ვერ ასრულებენ თავიანთს მოვალეობას — არა, გამაწყვეტინა მორჩილების დიმილით, — თქვენ არაფერიც არ შეგიძლიანთ. თქვენი მეცნიერება უზილავის წინ უძღუერი არის!.. წყალი!.. ჩიჩიურჩულა.
წამოავლო იქვე მდგომს ლიტრას ხელი და ერთს წამში მთლად გამოცალა.
— მე მოვიხმეთ იმიტომ-კი არა, განაგრძო მან, — რომ თქვენის ცოდნით ვისარგებლო, რომელიც ამ ქამად ჩემთვის სრულიად საჭირო აღარ არის, არა — იმიტომ, რომ გონება სხვა-და-სხვა მტანჯველ ფიქრთაგან განმეთავისუფლებინა ისეთი კაცთან განზარებით, რომელსაც შეუძლიან გაგება ამ ჩემის ტანჯვისა. თქვენ, როგორც უცხოელს, არც თუ გვეჯავრებით, არც თუ გძულვართ, როგორც სხვებს; ამიტომ მე შემიძლიან მხოლოდ თქვენ გაგიმეღვენოთ ჩემი საზარელი საიდუმლო!..
ქაკობუს სახე როგორცაღა დავემანქა, შუბლზე ოფლის ღვარი მოჰსქდა, თვალებს საშიშრად აცეცებდა სიბნელეში. იგი თქიმის სტენით

და ხალხს ქრთამებით, თუ სხვა უკანონო საქციელით ავიწროებენ, შიშხელოვნობენ მხოლოდ იმისთვის, რომ ადგილი ჰქონდეთ, ჯამაგირი აიღონ და მასთან ისეთი ადგილი, რომ ხან-და-ხან ხელიც მოითბონ სხვისი ქონებით... ექვი არ არის ამ შემთხვევაში გლეხი კაცი უთუოდ სხვა თვლით დაუწყებს ცქერას მამასახლისს და ბევრს რასმეს იტყვის მართა ინტელიგენტ-მამასახლისების წინააღმდეგაც, რადგანაც ნაყოფს ამ სინათლისას იგი ვერ ჰხედავს.

რა მიზეზია მერე, რომ ხალხს იმედი უმტყუნდება, ინტელიგენტი ჯიბე-ტენია ხდება, არაფერს არ აკეთებს, მხოლოდ ახდენს და ხალხს ავიწროებს?

მიზეზი ამისი მრავალზე უმრავლესია, მაგრამ მათ შორის ვეცდები მხოლოდ რამდენიმე დავასახელო.

განა ვინ უნდა ამოიჩინოს გლეხებმა? ვინა და ის, ვინც ჯერ უბრველეს ყოვლისა მათ სოფელში იწოდება „მწველულად“, ანუ „ნაჭვავლად“; უნდა ამოიჩინოს ის ბედუქულება-დამბრუნებელი, რომელსაც მხოლოდ მერე, ან მესამე კლასამდე მიუღწევია რომელსამე საშუალო სასწავლებელში და გამოიბრძანებულა: ახლა-კი დროა ჩონხა-ხანჯალი შემოვიტყა, სოფელში ორი-სამი დღის მიწა მაქვს, წავალ და მეფესავით ვიცხოვრებო. აი, ვინ. მერე როგორ უნდა იცხოვროს ასე ბედნიერად, არ იკითხავთ? ეს, რასაკვირველია, ჩვენთვის მიუწვდომელია, მაგრამ მაინც ნუ გაგვიკვირდებათ. ამ ვაჭრებს თავისი პროგრამა მოქმედებისა უკვე შედგენილი აქვს და თუ წინააღმდეგობა არავინ გაუწია, გაიხარინათ კიდევ იქნება ბედნიერი—თავისებურად, რასაკვირველია: გაჭლეჯს, გაპყლეფს ყველგან და ყველას, ვისაც-კი მოერევა და ეს ხომ ადვილია, თუ სისუსტემ არ უწია. აი ასეთი ვაჭრები ეცდებიან ხოლმე, ბევრს არ უნდათ, მოისყიდონ რამდენიმე კაცის გული, ე. ი. აგენტები გაიჩინონ და გამარჯვებულნი რჩებიან, მამასახლისებიან. შემდეგ რანიც იქნებიან ეს რჩეულნი, ამას, ვგონებ, დასაბუთება

განაგრძობდა: — თხოუმეტის წლის განმავლობაში მე ჯალათად ვიყავი Z...-ში. საქმე ჩვეულებრივად კარგად მიდიოდა და მე იმედი მქონდა მოხუცების დროს მშვილობიანად და წყნარად გავატარებდი. ხვალ სწორედ ერთი წელიწადი შეუსრულდება ამ ამბავს; მე უნდა მომეხაროს სიცოცხლე განსგერტოვისა, რომლის ამბავსაც ვგონებ თქვენამდისაც მოვლწიოს. ამ კაცმა, ან სწორედ ვსთქვათ სისხლის მსმელმა, მოკლა ახალგაზდა ქალი მხოლოდ იმისთვის, რომ საბრალო გვამზე რაღაცა ეშაქური გამოკვლევა მოეხდინა. იგი ყველას არწმუნებდა, რომ სიცოცხლის დაფარული შევიტყე და სიკვდილის საიდუმლოს დროად ჩავხედე გულშიო. ო! მასხავს ჯერ კიდევ ის საზარელი მწვანე თვალთა გამომეტყველება, რომელიც მას აღებუქდა სახეზე, როდესაც მხარზე ხელი დავადქე. ის პირველი შემთხვევა იყო ჩემს სიცოცხლეში და იქამდის ამაღლევა, რომ იძულებული ვიყავი ზურგი შემექცია. მე ვიგრძენ,

ალარ უნდა. მეორე ჯურის ინტელიგენტ მამასახლისებისას წარმოადგენს სამაზრო აღმინისტრაციის წვრილ-ფეხა და მომცრა-გონება აღამიანუკები, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე უფროსთა სიამოვნებაში გაუტარებიათ, მათნი მოჩილნი ყოფილან, ყველაფერი გაპირვება და შეწუხება აუტანიათ იმ იმედით, რომ ოდესმე თბილსა და რბილს ადგილს ვიშოვითო. მათ აქვე შეუდგენიათ გეგმა მოქმედებისა და აღჭურვილნი ყველა იმ თვისებებით, რომელნიც-კი წვრილ-ფეხა მოხელეთა საკუთრებას შეადგენენ, მიდიან სოფლად ინტელიგენტ მამასახლისად. თუ დღემდის მას სხვა უბრძანებდა, დღეს თვითონ უბრძანებს; ერთი სიტყვით აქვს პატარა სამთავრო და როგორც უნდა, ისე იტალიებს ქვეყანას და მისს საქმეებს. ამასთან ისაც ხელს ძალიან უწყობს, რომ იქ, საიღამაც შიში აქვს, მეგობარი ან მწყალობელი ჰყავს... მერე-კი მოსდგებიან ეს დალოცვილი გლეხები და გაიძახიან: „ინტელიგენტი მამასახლისები არ ვარგანან, სოფელს და სოფლის მცხოვრებს ჰლუპავენ და საქმეს-კი არ აკეთებენო“. მერე, ბატონებო, განა ამ ვაჭ-ბატონებს საქმის კეთება უნდაოდათ, როცა მამასახლისად ირჩევიდნენ? არა და არა! მათ მხოლოდ ადგილი უნდაოდათ, რომ უკუღმა დაბრუნებული ბედი წაღმა როგორმე მოეტრიალებინათ და სხვა არაფერი.

მეტი მავალითებით, ვგონებ, თავი შეგაწყინოთ; ამიტომ ვიკმარებ ამას. ესლა ის ვიკითხოთ, რატომ ირჩევს გლეხ-კაცობა ან იმ ბედუქულება-დამბრუნებულს, ან ამ წვრილ-ფეხა მოხელეს? პასუხი მოკლე და მარტივია. სოფელში უმეტეს ნაწილად ინტელიგენტისა მხოლოდ ესენი შეადგენენ; მაშ სად წავიდნენ ეს უბედურები, სად მოძებნონ, თუ არ უნდა; ამათ ხომ მეტი გზა არ იციან და ხშირად ისაც-კი, თუ მათ სოფელს გადაღმა კიდევ ქვეყანა არსებობს;—ცა აიმ გორასთან თავდებოა, იტყვიან ხოლმე გლეხები; მოდი მაშ და ასე ნუ მოიქცევიან: „კარგია თუ ავიათ, ქალი, შენი ქმარიო“ და ნუ ამოიჩივიან!! გლეხები ხშირად

როგორ დამიბრძანა ტანში საშინელომა ჟრუანტლომა! მიუხედავად ამისა მე მაინც ჩემი მოვალეობა უნდა ამტკიცებდინა და ამიტომ დიდხანს ალარ ვაცადე; ავდექე და სასიკვდილოდ დასჯილს მივუხლოვდი. „აჰ და ცინვით შემომეგება გერტოვი, შენ უთუოდ ჩემი თავი გინდა, ჯალათო! მიფრთხილდი! არ გაივლის ერთი წელიწადი და იგი მთლად დაგიღრღინის მაგ გულს!“ სიბრძნემ ამიტანა. ალარ ვიცოდი რა მექნა. ერთის წამოზიდვით გერტოვი მუხლის თავებზე წამოვარქე და ცული შეგუმაღლე. ერთის წამის შემდეგ მე ცულს უხომოდ ვცემდი გერტოვის კისერს და მხოლოდ ხალხის ყვირილმა-და გამომარკვია!.. თავი ფეხებ წინ გამიგორდა; მე დავეწოდე, რომ ამელო; მაგრამ შევნიშნე, რომ მისი ნახევრად ჩახუტული თვალები საკვირვალად დამშტერებოდნენ, მსინჯავდნენ, პირზე-და-კი მწირე და საზარელი ღიმი უქროდა. როდესაც ხელი წავატანე, თავი გაიძრა, მერე უცბად შემომავარდა და ბასრი კბილები თითებში ჩამიყარა! თითები საშინლად

იმასაც-კი ერიდებიან, რომ მამასახლისი მეორე, თუნდ მესამე სოფლიდან ამოიჩიონ, თუ-კი მართლა მოიძებნება.

— იმას, კაცო, ჩვენ სოფელთან რა ხელი აქვს?—იტყვიან ხოლმე, თუ სხვაგვარად ვისმეს დასახელებენ. ამ გვარად თავისი უცოდინარობისა და იმის გამო, რომ ხელცარიელ, ჯიბე-ცარიელ ვაჭრებს საღერღელი მუდამ აშლილი აქვთ ასე თუ ისე ხელთ იგღონ ჯამაგირიანი ადგილი, გლეხები ადვილად გაეძებნა ხოლმე ამ ქსელში. მაგრამ ვინ და რა ნაირად უნდა დაეხმაროს გლეხობას. ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში მათ ისევ სოფლის მასწავლებლები, მღვდლები და საზოგადო რიგიანად შეგნებული ინტელიგენტი უნდა დაეხმაროს ხოლმე და სახეში იქონიონ ზემოდ ჩვენ მიერ დასახელებული გარემოებანი; გარდა ამისა არც თვითონ მაზრის აღმინისტრაცია უნდა ეპყრობოდეს გულგრილად ამ საქმეს და უნდა სცდილობდეს არჩეული კაცი მართლაც სანდო და პატიოსანი, შეგნებული კაცი იყოს.

ნარკვევა

(ჟურნალ-გაზეთებში.)

თითქმის ყველა გაზეთებში ყურადღება მიაკვირებს და თანაგრძობა აღმოუჩინებს თავ. წერეთლის სიტყვას. ჩვენ უკვე გვქონდა ამის შესახებ ვაზ. „მოსკოვის ველთა“-ის აზრი გადმოგვტლილი. „ბირჟ. ველ“-ბმაც ხმა ამოიღეს და რამდენიმე სამართლიანი აზრი გამოსთქვეს ამის შესახებ.

რასაკვირველია, საწყენი და გულის სატყენია ასეთი ბრალდებანი და ცილისწამებით დასმენა და ენა-ტანიობა აიტანონ ქართველებმა და სომეხებმა, რომლებიც ასე წელიწადია რუსეთთან ერთად სცხოვრობენ, შეითვისეს რუსეთის კულტურა, მრავალი მწე და მამაცი მეომარი მოგვეყეს, რომელთაც მამულის მტერთან ბრძოლაში დიდებულად თავი ისახელებს და ჩვენთან ერთად მრავალჯერ იბრძოდნენ, იმავე ოსმალეთთან, რომლის გამოც ეს ცილის წამება ასტყდა, ამბობს გაზეთი, რასაკვირველია, არც კავკასიის საზოგადოებამ მოიყრუა ყური ამ ბრალდებამ.

დამკბინა! მე საზარლად შევყვირე შიშისა და ტკივილისაგან და გული წამივიდა. ჟაკობუსმა პატარა ხანს შეისვენა ხელის გულით უშობლზე მომსკდარი ოფლი შეიწმინდა და მძიმედ ამოისუნთქა. შემდეგ ისევ ოთახის ერთ-ერთს კუთხეს მიაშტერდა და წაიბუტბუტა: — ჯერ კიდევ არ დამდგარა წამი!..

მე გულდასმით ვუგდებდი ყურს ჯალათის ნაამბობს; მაკვირვებს ის, რამდენად შეშინებული იყო ეს შეუბრალებელი აღამიანი და უნებურად თვალს ვადევნებდი ყველა მისს მოძრაობას, ხანის გამომეტყველებას. კვლავ განაგრძო ჟაკობუსმა: — იმ დღის შემდეგ, ო, საშინელ რამედ გარდიქნა ჩემი სიცოცხლე!.. მე მაშინვე ჩავაბარე ყველა ჩემი საქმეები, ვისიც ჯერ იყო, და წამოველ აქ, რომ როგორმე გამედევნა მესხიერებიდან ის საზარელი მოჩვენება. მაგრამ არაფერი იქნა. მუდამ დამ თვალ-წინ მიდგას ის მწვანე თვალებიანი და

ბათა გამო, ამის შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავდა-ზნაურთა კრებებზე აღიძრა ლაპარაკი. ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი სიტყვა ქუთაისის გუბერნიის თავდა-ზნაურთა წინამძღოლისასეთივე სიტყვა წარმოსთქვა თავადმა გუბერნიის მდივანმა ტფილისში.

ქართველებსა და სომეხებს-კი არა, ჩვენ, რუსებს, უნდა გვახსოვდეს, რომ კავკასიის ერთბაშად სარწმუნოებრივად, გონებრივად და სახელმწიფოს წეს-წყობილებით დაკავშირებული ვართ.

ჩვენმა კავკასელმა თანამემამულეებმა უნდა იმითი ინუგეზონ, რომ მართა მათ კი-არა, ბევრს სხვასაც ჰხედება ხოლმე წილად ასეთი ცილის წამება, ცრუ, შეთხზული ამბები, ციფრთა და ფაქტების სიყალბით გადაცემა. ზოგიერთი გაზეთები თვით მკვიდრს რუსებსაც-კი არა ერთხელ უწოდებენ ხოლმე „არა სანდო ელემენტს“.

ამაზედ „სპეტერბ. ველ“-ები უკმნიშვნენ: ჩვენის აზრით, კავკასიის მცხოვრებთ ის გარემოება უნდა ანუგეზებდეთ, რომ ზოგიერთი გაზეთების ასეთი საქციელს არამც-თუ თანაურგრძობის საზოგადოება, არამედ კიდევაც ჰკიცხავს.

უცხოეთი

ინგლისი. მაკ-კარტი იროლანდელთა საპარლამენტო პარტიის წინამძღოლობაზე უარი სთქვა იმის გამო, რომ წლოვანება და ჯანმრთელობა ნებას არ მაძლევინო. ამიტომ ამ ქამად ყველა გაზეთები, განურჩევლად მიმართულებებისა, თანაგრძობით სახსენ წერილებს ჰბეჭდვენ ანტიპარლამენტო დასის სამსახურად და გამდგარ წინამძღოლის შესახებ. მაკ-კარტი ჯერ ძლიერ მოხუცებული არ არის, სოლსბერის ხნი-სა და გარკურზედ ახლგაზდაა. მაკ-კარტი 1830 წ. დაიბადა და, ვიდრე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწედ შეიქმნებოდა, მან ლიტერატურასა და ისტორიაში გაითქვა სახელი. მისს კლამს ეკუთვნის: „ჩვენის დროის ისტორია“; რომელშიაც ინგლისის პოლიტიკური ცხოვრება დახატული დედოფალ ვიქტორიის ტახტზე ასვლიდამ, ვიდრე 1880 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. „სამის გიორგის ისტორია“ და რამდენიმე ბელეტრისტული თხზულება. პარლამენტის სამსახურიდამ გადადგომის შემდეგ

ბასრ-კბილებიანი თავი!.. მე არ ვარ შეშლილი, არც მოჩვენებანი მტანჯვენ ოდესმე, მაგრამ მას-კი, თავსხედავ, ხელით ვცხები, ვხედავ, როგორ დაგორავს ხოლმე ჩემს ლოგინსა და ავეჯზედ და სისხლის კვალს სტოვებს... ვგრძობ ხოლმე, როგორ მეხება იგი თავისს გაყინულ ტუჩებზე, როგორ ჰქერავენ ჩემს ხორცს მისი კბილები! არ შემიძლიან გავიძრე, არ შემიძლიან დაიყვირო, მთლად დამბლად ვარ დაცემული!..

მე მსურდა როგორმე დამემშვიდებინა ჟაკობუს, მაგრამ მან უცბად სიტყვა შემეწყვეტინა:

— წყალი... მასვით... იქ!.. ჟაკობუსმა თითთ საწყლენ მანიშნა. მე ლიტრა გავუშე და მივაწოდე. მან თითქმის უსვენებლივ დალია და მითხრა:

— ესლა თქვენ ყველაფერი იცით, თქვენ ხართ ერთად-ერთი აღამიანი, რომელმაც იცის მიზეზი ჩემის სიკვდილისა. ხვალ ყველაფერი დასრულდება... გამალობთ, რომ მოხვედით!..

1890 წ. მაკ-კარტი ეგრედ წოდებულ ანტიპარლამენტო ფრაქციის წინამძღოლად იქმნა არჩეული და მას შემდეგ მუდამ ერთგულად და გულდადებით ასრულებდა პოლიტიკურ ხელმძღვანელის მძიმე მოვალეობას. ეს მოვალეობანი მაკ-კარტი მეტად ცუდს დროს იკისრა და ამ ქამად, როდესაც მისს მოღვაწეობას თვალს ავლენენ, როგორც პოლიტიკურ ხელმძღვანელისას, ლიბერალები და კონსერვატორნი ამ მოღვაწის კეთილ-სინდისიერობას, ერთგულს სამსახურს და მოქმედებას ღირსეულად აფასებენ. მაკ-კარტი საუკეთესო და სახელოვან ორატორთა და პოლიტიკოსთა რიცხვს არ ეკუთვნის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც პატივი და ნდობა, ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული პარლამენტში და თავისის განაოლებით ერთი საუკეთესო ადგილი ექირა. მისი სიტყვები საუკეთესოდ და საუცხოვოდ იყვნენ ხოლმე გამწვენიერებულნი და ლიტერატურულ გამოცენების ნიშანი აჩნდათ.

— გაზეთებში დიბეჭდა გლადსტონის წერილი ეგვიპტის საქმის შესახებ; ეს წერილი მუტაფ კამელის წერილის საპასუხოდ არის დაწერილი. ჩემი აზრი მუდამ ერთი და იგივეაო, სწერს გლადსტონი: ავასრულეთ-რა ჩვენი საგანი, რომლისათვისაც მივედით ეგვიპტეს, ახლა თავი უნდა დავანებოთ. რამდენადაც მე მესმის, ეს დრო უკვე დადგა ამ რამდენიმე წლის წინად. უკანასკნელად, როდესაც მე სამინისტროს თავში ვუდექი, იმედი მქონდა სხვა სახელმწიფოებრივ დამხმარებოდნენ და ამ საქმეს როგორმე დავავიკვირებდი. ვადინგტონის მეცადინეობამ 1892 წელს უფრო მეტი იმედი მომცა, მაგრამ საქმე ისე ვედარ წავიდა, როგორც განზრახვა გვქონდა,—არ ვიცი რად. მე ამის შესახებ ჩემი აზრი 1893 წ. გამოკსთქვი პარლამენტში და შემიძლიან ვსთქვა ისიც, რომ მზად ვიყავი ყველაფერი შელონა, ოღონდ საქმე შესრულდებინა. მას შემდეგ მე სულ მთლად თავი დავანებე სახელმწიფო მოღვაწეობას. მე ამ ქამად მხოლოდ უბრალო მოქალაქე-ლა ვარ ჩემის ქვეყნისა.

...ექიმი დ. შესდგა და სიგარას მოუკიდა. — ის უთუოდ სასმელებისაგან იქნებოდა დასნეულებული, შეჭნიშნა გერბლოტმა!

— მოითმინეთ, გააწყვეტინა სწავლულმა.

— მეორე დღეს, აღრიანად მე კვლავ წავედი ჯალათთან. ჟაკობუს ტორტიტერი მკვდარი დამიხვდა! ოთახი მთლად არეულ-დარეული იყო. სასტუმროს პატრონმა ამ ქამად ჩემი ყურადღება სისხლის ნიშნებს მიაპყრო, თუმცა თვით ჟაკობუსს არავითარი ჭრილობა, განაკვირვი-კი არ ეტყობოდა.

მხოლოდ მარცხენა მხარეს, გულზედ, შევნიშნე რგვლად დალურჯებული, რომელიც პირდაპირ ამტკიცებდა, რომ ნაკენი უნდა ყოფილიყო!.. მე იმავე საღამოს დავტოვე ლიუდვიგსბურგი და, დავასრულერა ჩემი მოგზაურობა, საფრანგეთში დავბრუნდი.

— ესლა როგორც გსურდეთ, ისე იფიქროთ!.. — ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთო, სთქვა ჟურნალისტი.

შურნალ-გაზეთები და ჟიურები

ამოკრებილი ამბები.

კიდევ და კიდევ ამერიკელები. არ გაგონილა, რაბის არ მოიგონებენ და რაბები არ მოუგონიათ. აი ესეც ერთი იმისთანა რაბი...

ბევრი, ნამეტანვად ღვთის მოსახენი იტალიაში ჩივიან, რომ სოფლის მღვდლები ველოსიპედით დადიან თავის სამწყსოში და მოძღვარს ვე არ ეშვებათ...

ლონდონიდან ადამიანისა ყოველი უწინარეს და მოკიდებულია ჯან-მართლებასა, გულ-მარობასა, ტანსა და მოძრაობაზე...

დროს ჩამოდის იქ გაკოტრებული აზნაური, დონ სეზარ დე ბაზანი (ბ. აბაშიძე), რომელსაც რაღაც ლაპარაკი მოუვა გვარდიის კაპიტანთან...

იმ ქვეყანაში კი ხმალი გამოწვევა აღკრძალული იყო და დამნაშავეთ სიკვდილით სჯიდნენ. აი სწორედ დასჯის რამდენიმე წუთის წინედ, დე ბაზანს ჯვარის დასწერის გაქილი მინისტრი მარიტანაზე...

თეატრის მახინჯი.

ბუნებისაგან ნიჭით უზვად დაჯილდოებული, საყვარლის არტისტის ბ. აბაშიძის ბენეფისის საზოგადოება მოუთმენებელი აღმოჩნდა...

ჰერცოგი არკონელი (ბ. გუნიანი) აჩემებს ვიღაც ქუჩის მომღერალ ქალს—მარიტანას (ქ. ბანი ავალიშვილისა). მაგრამ, ეს ქუჩაში მანქანა...

ასიამოვნებს საზოგადოება და დიდი, ალტაცებული ტაშის ცემა-ცამოიწვიეს.

დეგემა

(რუსეთის დეგემათა სააგენტოსაგან).

31 იანვარი.

პეტერბურში. საგანგებო ელჩი ესპანიაში უფანათ. თავ. მიხ. გორჩაკოვი და თხოვნილ იქნა სამსახური...

სოფია. ამბობენ, სამინისტროში ცვლილება მოხდება; გარეშე საქმეთა მინისტრი ნაჩვიჩი დაინიშნება...

სოფია. 30 იანვარს მთავრობამ მიიღო კონსტიტუციონალიზმი ოფიციალური ცნობა, რომ სულთანმა სცნო პრინცი ფერდინანდი ბულგარის ხელმწიფედ...

სოფია. ჩამოვიდა ბულგარის ექსარხოსი. მის მიუგებნენ ყველა მინისტრები, სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენელი და მრავალი ხალხი...

ნიში. პრინცი ფერდინანდი მიმართა თხოვნით პეტერბურს, რომ ნება მიეცეს მას ელჩი გოლენიშჩევი...

წარმომადგენლად დავესწრო პრინცი ბარისის მირონცხებასა.

მინა. გაზეთები ჰსჯიან რა იმ გარემოებას, რომ სულთანმა პრინცი ფერდინანდი კანონიერად სცნო, ექვი არა აქვთ იმისი, რომ სხვა სახელმწიფოებმა ესევე გარდაწყვიტეს...

ლონდონი. დედოფლის მიერ წარმოთქმული სეფე-სიტყვა მეტად თავდაპირველი იყო. მიუხედავად ამისა, სხვა სახელმწიფოებთან მეგობრულ დამოკიდებულებათა შესახებ...

პარიზი. სამინისტრო კრიზისი არ მოხდა. ეგონათ რიკარის სასჯულო საქმეთა სამინისტრო სამსახურიდან გადადგებოდა, მაგრამ არ მოხდა.

განსხვავებანი

!!ერთდეთ, არ მოსტყუდეთ!!

ჰიპოქრიზი

ბ. ვ. იურბენისა

აქრობს კორუფსი, სიბნელის დაწვას, ყვეთელს ლაქებს, ფერის მკამელასა და მებეჭებს, აგრეთვე სობის ოფის. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნუნლოვანი და მაღლის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.